Search...

წარუმატებლობა არის შესაძლებლობა, მეტი გამოცდილებით თავიდან შეუდგე საქმეს - ჰენრი ფორდი

„მწვანე ალტერნატივა“ ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ გამოდის

ცისია ქარჩავა
ხუთშაბათი, 15 მარტი 2012 15:33



თბილისი **(BPI)** - 2012 წლის 14 მარტს, მდინარეების დაცვის საერთაშორისო დღის რიგით მეთხუთმეტე გლობალური ღონისძიება მიმართულია კაშხლების წინააღმდეგ და იცავს მდინარეებს, წყალს, სიცოცხლეს. სლოგანით - “შევინარჩუნოთ თავისუფალი მდინარეები”- მსოფლიო გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მოუწოდებს ხელი შეუწყონ მდინარეების დაცვას არსებული პრაქტიკის თუ კანონმდებლობის გაუმჯობესების გზით.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა უერთდება საერთაშორისო აქციას და ქართულ საზოგადოებას შეახსენებს, რომ 2012 წელი საქართველოს მთავრობის მიერ ჰესების მშენებლობის წლად არის გამოცხადებული.

ორგანიზაციას კიდევ ერთხელ სურს, საზოგადოებას ყურადღება გაამახვილებინოს იმ შედეგებზე, რაც შეიძლება ხუდონჰესის, დარიალჰესის, ნამახვანის, ნენსკრას, ჭოროხისა თუ სხვა ჰიდროელექტროსადგურების კასკადების მშენებლობამ მოიტანოს.

ალტერნატივა აცხადებს, რომ აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად წყლით დაიფარება (ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის) სულ მცირე 300 ჰექტარი ფართობი: ნაყოფიერი სავარგულები, უძველესი ქართული სოფლები, კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა; გადაგვარდება რიონის, ენგურის, თერგისა და სხვა მდინარეთა ხეობები, განადგურდება იქ არსებული ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება; საფრთხის წინაშე აღმოჩნდება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, შეწყდეს საქართველოში დაგეგმილი დიდი და მოსახლეობისა და გარემოსთვის საზიანო ჰესების მშენებლობის განხორციელებისთვის მიმდინარე სამუშაოები, გარდა ამისა, საზოგადოების ფართო მონაწილეობით შემუშავდეს საქართველოს ენერგო-სექტორის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც განიხილავს ყველა რეალისტურ ალტერნატივას (მათ შორის, მცირე ჰიდროსისტემებს, ქარისა და მზის ენერგეტიკას, ბიომასას), რათა შეირჩეს საქართველოს ბუნებისა და მოსახლეობისათვის ყველაზე უმტკივნეულო, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, როგორც ეს რეკომენდირებულია კაშხლების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

Share 0 Like 4 Send

Add a comment...

Post to Facebook Posting as Natalia Ksovreli (Change) Comment

Facebook social plugin

Website Design Brisbane

კომენტარი



ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართვას უგზავნის

თბილისი (BPI) - საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართვას უგზავნის. მიმართვაში ივანიშვილი პრეზიდენტს "ბოლო წინადადებას" სთავაზობს და მიმართავს, უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადოს, უარს ამბობს თუ...

ყველა სტატია

ცოცხალი ბირჟა